

შპს სანტა 243120010

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2 343 031.00	1 937 816.00	1 312 027.00
არამატერიალური აქტივები	1 043.00	1 043.00	1 043.00
ბიოლოგიური აქტივები	943 224.00	943 224.00	599 492.00
სულ გრძელვადიანი აქტივები	3 287 298.00	2 882 083.00	1 912 562.00
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	109 884.00	25 285.00	917 316.00
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	23 949.00	117 250.00	345 719.00
გაცემული ავანსები	12 512.00	336 373.00	6 443.00
საგადასახადო აქტივები	11 981.00	60 008.00	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5 565.00	33 976.00	41 945.00
სულ მოკლევადიანი აქტივები	163 891.00	572 892.00	1 311 423.00
სულ აქტივები	3 451 189.00	3 454 975.00	3 223 985.00
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1 882 098.00	1 902 798.00	1 872 798.00
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	882 089.00	641 536.00	
სულ კაპიტალი	2 764 187.00	2 544 334.00	1 872 798.00
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	682 285.00	890 307.00	544 555.00
სხვა ვალდებულებები			800 000.00
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	682 285.00	890 307.00	1 344 555.00

-			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			
მიღებული ავანსები	195.00	267.00	
საგადასახადო ვალდებულებები			2 528.00
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4 522.00	20 067.00	4 104.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4 717.00	20 334.00	6 632.00
სულ ვალდებულებები	687 002.00	910 641.00	1 351 187.00
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3 451 189.00	3 454 975.00	3 223 985.00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	3 451 189.00	3 454 975.00	3 223 985.00

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.
შემოსავალი	1 589 675.00	1 960 009.00
თვითღირებულების ხარჯები	(767 394.00)	(792 840.00)
საერთო მოგება	822 281.00	1 167 169.00
ადმინისტრაციული ხარჯები	(105 872.00)	(234 008.00)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(56 900.00)	(56 900.00)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4 909.00)	(8 352.00)
საოპერაციო მოგება	654 600.00	867 909.00
ფინანსური ხარჯები	(115 484.00)	(101 944.00)
არასაოპერაციო ხარჯები	(4 180.00)	(55 639.00)
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	(173.00)	10.00
მოგება დაბეგვრამდე	534 763.00	710 336.00
მოგების გადასახადის ხარჯი		
წმინდა მოგება	534 763.00	710 336.00

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	534 763.00	710 336.00
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	56 900.00	56 901.00
მოგების გადასახადი		
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობებიდან	173.00	(10.00)
ფინანსური ხარჯები	115 484.00	101 944.00
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	707 320.00	869 171.00
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	93 301.00	228 469.00
ცვლილება მიღებულ ავანსებში	(72.00)	267.00
ცვლილებები მარაგებში	(84 599.00)	892 031.00
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		(2 528.00)
ცვლილება გაცემულ ავანსებში	323 861.00	(329 930.00)
ცვლილებები დარიცხულ ვალდებულებებში		(800 000.00)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	48 027.00	(60 008.00)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	(15 545.00)	16 124.00
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1 072 293.00	813 596.00
გადახდილი მოგების გადასახადი		
გადახდილი პროცენტი	(115 484.00)	(101 951.00)
მიღებული პროცენტი		
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	956 809.00	711 645.00
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(462 115.00)	(682 690.00)
ბიოლოგიური აქტივების შეძენა		(343 732.00)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(462 115.00)	(1 026 422.00)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოდინება მიღებული სესხებიდან		500 000.00
შემოდინება გაცემული სესხიდან		
მიღებული სესხების დაფარვა	(208 022.00)	(154 241.00)
დივიდენდების გადახდა	(294 210.00)	(68 800.00)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	25 750.00	30 000.00
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(46 450.00)	
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	(522 932.00)	306 959.00
ფულისა და ეკვივალენტების ნეტო ცვლილება	(28 238.00)	(7 818.00)
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(173.00)	(151.00)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	33 976.00	41 945.00
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	5 565.00	33 976.00

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამურად	
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,872,798	-	1,872,798
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	710,336	710,336
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	-	710,336	710,336
დივიდენდების გადახდა	-	(68,800)	(68,800)
საკუთარი კაპიტალის გაზრდა	30,000	-	30,000
ოპერაციები აქციონერებთან/დამფუძვნებლებთან)	30,000	(68,800)	(38,800)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,902,798	641,536	2,544,334
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	534,763	534,763

პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	-	534,763	534,763
დივიდენდების გადახდა	-	(294,210)	(294,210)
საკუთარი კაპიტალის გაზრდა	25,750	-	25,750
საკუთარი კაპიტალის შემცირება	(46,450)	-	(46,450)
ოპერაციები აქციონერებთან/დამფუძვნებლებთან	(20,700)	(294,210)	(314,910)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,882,098	882,089	2,764,187

ფინანსური
შენიშვნები

ანგარიშგების

ახსნა

განმარტებითი

ძირითადი საქმიანობა

შპს „სანტა“ დაფუძნდა 1997 წლის 13 ივნისს, საიდენტიფიკაციო კოდი: 243120010, მარეგისტრირებული ორგანო წალკის სასამართლო. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, წალკის რაიონი, სოფ.სანთა. კომპანიის მეწილეები არიან: იური ასლანიძე (პ/ნ 01026000703) - 45% წილი, დარეჯან კანთელაძე (პ/ნ 01026002991) - 55% წილი.

შპს „სანტა“-ს საკუთრებაში აქვს სასაქონლე ფერმები, ყველის საწარმო ქარხანა, სახნავი, სათიბი, საძოვარი მიწის ნაკვეთები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ჰყავს საკუთარი მსხვილფეხა მერძეული საქონელი.

შპს „სანტა“-ს ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს მისსავე საკუთრებაში არსებული მსხვილფეხა მერძეული საქონლიდან მიღებული რძისა და პერიოდულად ადგილობრივი მოსახლეობიდან შესყიდული რძის გადამუშავება და ყველის სხვადასხვა სახეობისა და ნადულის წარმოება-რეალიზაცია.

კომპანია პირუტყვის საკვები მარაგების დიდ ნაწილს თავად ამზადებს საკუთარი მიწის ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების განხორციელებით, ნაწილის შესყიდვა ხდება სხვადასხვა სამამულო კომპანიებისა და ფიზიკური პირებისაგან.

შპს „სანტა“-ს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი, შესაბამისად, იგი სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით მოგებისა და ქონების გადასახადების ნაწილში.

ასევე, კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის - ყველის - მიწოდება, გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს მსს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ეს არის კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და ფასს მსს 35-ე განყოფილების შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

31 დეკემბერი	31 დეკემბერი	
	2022	2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

შენობა-ნაგებობები - 5%

- მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა - 15%
- კომპიუტერული ტექნიკა - 20%
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი - 15%
- სატრანსპორტო საშუალებები - 20%

კომპანია განიხილავს ცვეთის მეთოდებს და კოეფიციენტებს ყოველი საფინანსო წლის ბოლოს რომ ასახოს ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ორგანიზაციის რომელიმე ძირითადი საშუალება, რომლისგანაც სარგებელს მოელის გაუფასურებულია. როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიური აქტივები ისეთი აქტივებია, საიდანაც ორგანიზაცია მოელის ეკონომიკურ სარგებლის საწარმოში შემოსვლას.

ბიოლოგიური აქტივების თავდაპირველი შეფასებისას გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

2. გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით

მოგების გადასახადი

შპს „სანტა“-ს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი, შესაბამისად, იგი სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით მოგებისა და ქონების გადასახადების ნაწილში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შპს „სანტა“ არის დღგ-ს გადამხდელი.

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის - ყველის - მიწოდება, გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით. რაც შეეხება - ნადულს, მისი მიწოდება იბეგრება ჩვეულებრივად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც შპს „სანტა“-ს შემთხვევაში წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები - მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლოს რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;

- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიისათვის ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდოულად განხორციელების განზრახვა.

კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების

ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზე დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საწყისი ღირებულება							
ბალანსი 31.12.2020	176,838	728,314	757,811	6,407	35,188	203,147	1,907,705
შემოსვლა	-	306,805	427,884	3,628	-	-	738,317
გასვლა	-	-	(43,627)	-	-	(27,000)	(70,627)
ბალანსი 31.12.2021	176,838	1,035,119	1,142,068	10,035	35,188	176,147	2,575,395
შემოსვლა	-	-	441,114	-	-	25,000	466,114
გასვლა	-	-	-	-	-	(14,000)	(14,000)
ბალანსი 31.12.2022	176,838	1,035,119	1,583,182	10,035	35,188	187,147	3,027,509
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება							
ბალანსი 31.12.2020	-	(261,884)	(296,000)	(2,359)	(2,398)	(33,037)	(595,678)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(31,500)	(20,000)	-200	(1,201)	(4,000)	(56,901)
გასვლა	-	-	8,000	-	-	7,000	15,000
ბალანსი 31.12.2021	-	(293,384)	(308,000)	(2,559)	(3,599)	(30,037)	(637,579)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(31,500)	(20,000)	-200	(1,199)	(4,000)	(56,899)
გასვლა	-	-	-	-	-	10,000	10,000
ბალანსი 31.12.2022	-	(324,884)	(328,000)	(2,759)	(4,798)	(24,037)	(684,478)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 31.12.2020	176,838	466,430	461,811	4,048	32,790	170,110	1,312,027
ბალანსი 31.12.2021	176,838	741,735	834,068	7,476	31,589	146,110	1,937,816
ბალანსი 31.12.2022	176,838	710,235	1,255,182	7,276	30,390	163,110	2,343,031

მარაგები

	2022	2021
ნედლეული და მასალები	80,737	4,760
დაუმთავრებელი წარმოება	25,950	13,100
საცხებ-საპოხი საშუალებები	3,197	7,425
და საწვავი		
სულ	109,884	25,285

სავაჭრო და სხვა

დებიტორული დავალიანება

	2022	2021
მოთხოვნები მიწოდებიდან	23,717	111,486
და მომსახურებიდან		
მოთხოვნები საწარმოს	232	5,764
პერსონალის მიმართ		
სულ	23,949	117,250

ფულადი სახსრები და მათი

ეკვივალენტები

	2022	2021
ლარი საბანკო ანგარიშებზე	4,745	32,984
უცხოური ვალუტა საბანკო	820	992
ანგარიშებზე		
ჯამურად ფულადი ნაშთები	5,565	33,976
საბანკო ანგარიშებზე		
ნაღდი ფული სალაროში	-	-
ლარებში		
ჯამურად ნაღდი ფული	-	-
სალაროში		
სულ	5,565	33,976

სავაჭრო და სხვა

კრედიტორული დავალიანება

	2022	2021
ვალდებულებები	4,522	20,067
მომწოდებლების წინაშე		
სულ	4,522	20,067

შემოსავალი

	2022	2021
შემოსავალი რეალიზიციიდან	1,319,499	1,290,607
სხვა შემოსავალი	270,176	669,402
სულ	1,589,675	1,960,009

ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასის ხარჯები	83,890	89,010
სხვა საერთო ხარჯები	20,124	20,201
ბანკის მომსახურების	1,558	2,590
ხარჯები		
კომპიუტერის ხარჯები	300	814
სავაჭრო და სხვა		
დებიტორული დავალიანების	-	116,368
ჩამოწერის ხარჯი		
პროფესიული	-	5,025
მომსახურების ხარჯები		
სულ	105,872	234,008

პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

გადასახადები

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის შეზღუდვის გეგმები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ აიღო შეღავათიანი აგრო სესხი 2023 წლის 31 მაისს 310.000,00 ლარის ოდენობით..

ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს.